პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კვირა, 16 მარტი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი მეომარი

№ 453 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., სასახლის ქ. № 5. საველე ელსმენი № 32.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომერელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე.

განცხადება

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა.წ. 17 მარტს საღამოს 6 საათზე აღმასკომის შენობაში დანიშნულია შემდეგი სექციების ორგანიზაციული სხდომა.

1. ზაჭესკომის—სათათბირო დარბაზში.
2. ჯანმრთ.—საერთო განყოფილებაში ოთახი № 5,
3. საადგილ-მამულო—ოთახი № 31

ზემოაღნიშნულ სექციებში ჩაწერილ ამხანაგებს პრეზიდ. სთხოვს გამოცხადდენ ყოველივე მიზეზის გარეშე აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

პუანკარე იკბინება.

საფრანგეთის იმპერიალიზმი მეტის მეტად აღელვებულია მომავალ საბჭოთა კავშირის და რუმინეთის კონფერენციის გამო. პუანკარეს მთავრობა ვერ ურიგდება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო გამტკიცების ფაქტს და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა ხელი შეუშალოს მის ცნობას დანარჩენ ევროპის სახელმწიფოების მიერ.

უკანასკნელმა რადიომ მოიტანა ცნობა, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაადასტურა რუმინეთის მიერ ბესარაბიის მისაკუთრება.

ამით საფრანგეთის გაუმაძღარი იმპერიალიზმი კიდევ ერთხელ ააშკარავებს თავისი შეურიგებელ მტრულ პოზიციას საბჭოთა ქვეყნებისადმი და ბესარაბიის მშრომელთა ხალხისადმი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღემდის საფრანგეთს კრინტიც არ დაუძრავს ბესარაბიის შესახებ. როდესაც 1918 წელში რუმინიის საოკუპაციო ჯარებმა დაიკავეს ბესარაბია, საფრანგეთის მთავრობას არ გამოუთქვამს თავისი აზრი ამის შესახებ და დიპლომატიურად დღემდის გაჩუმებული იყო.

მაგრამ დღეს 6 წლის შემდეგ მას გამოაქვს საჩქაროდ თავის დასტური ამ მტაცებლური აქტის შესახებ და აღიარებს ბესარაბიას, როგორც რუმინიის განუყრელ ნაწილს.

პუანკარეს მთავრობა სჩადის ამას იმ განზრახვით, რათა ხელი შეუწყოს რუმინიას ვენის კონფერენციაზე ბესარაბიის შენარჩუნებისათვის.

ამით საფრანგეთი სცდილობს მოიმადლიეროს თავისი ერთგული მოკავშირე: რუმინეთის მთავრობა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ხელი მოითბოს რუმინიის ნავთზე.

საქმე იმაშია, რომ ასეთი მეგობრული დახმარებისათვის, ცხადია რუმინეთის მემამულეები სამაგიეროს გადაუხდიან საფრანგეთის მესვეურებს, რით? რასაკვირველია, არა ოქროთი, რადგან ასეთი მათ არ მოეპოებათ. მაგრამ მათ აქვთ ნავთი, რომელიც საფრანგეთის გაუმაძღარ ბურჟუაზიას დიდი მადას უხსნის.

გარდა ამისა საფრანგეთს სურს კვლავ დაიბრუნოს თავისი გავლენა და ავტორიტეტი მცირე ანტანტაზე, რომელიც მან ამ უკანასკნელ ხანებში დაკარგა.

ერთი სიტყვით საბჭოთა ქვეყნებისადმი მტრობით და შურით დაბრმავებული საფრანგეთის ბურჟუაზიამ არ იცის რით აწყინოს და ზიანი მიაყენოს საბჭოთა კავშირს.

ამაოა მისი ცდები.

რამდენიც არ უნდა დაუმოწმოს მან რუმინეთის დესპოტებს თითქოს ბესარაბია მათ საკუთრებას შეადგენს, საბჭოთა ხელისუფლება დაყრდნობილი ბესარაბიის გაწამებულ მშრომელთა მასების მტკიცე სურვილზე, ენერგიულად და დაბეჯითებით მოითხოვს და შეეცდება, რათა ბესარაბია განთავისუფლდეს რუმინეთის კლანჭებისაგან და აღდგენილ იქნას მოლდავიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა.

ადრე თუ გვიან საბჭოთა დიპლომატია ამას მიაღწევს.

ამხ. სვერდლოვის ხსოვნას.

დღეს შესრულდა ხუთი წელი, რაც გარდაიცვალა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პირველი თავმჯდომარე და რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას წევრი ამხ. იაკობ მიხეილისძე სვერდლოვი.

ამხ. სვერდლოვი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ბელადთაგანია რუსეთის პროლეტარიატისა და კომუნისტური პარტიის.

მისი ღვაწლი მშრომელთა ხალხის წინაშე განუზომელი და დაუფასებელია.

ჯერ კიდევ გიმნაზიის მე-5 კლა- ს მოწაფე ამხ. სვერდლოვი შედის ლულ საუკუნეს მეოთხმოცდაათ ებში არა ლეგალურ სოციალ-მოკრატიულ ორგანიზაციაში და თავდავიწყებით ეწევა რევოლიუციონურ მუშაობას.

იშვიათია მისი რევოლიუციონური მოღვაწეობა. ვინც გაეცნობა ამხ. სვერდლოვის ბიოგრაფიას, ის განცვიფრებაში მოვა ამ ადამიანის არაჩვეულებრივი ცხოვრებით, რომელიც ტანჯვით და ნარეკალით იყო მოცული.

მთელი თავისი სიცოცხლე მან შესწირა პროლეტარიატის და მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის მონობისაგან.

თავისი შეუდრეკი, ფოლადისებური ნებისყოფით, არაჩვეულებრივი მამაცობით, მხურვალე რევოლიუციონური გულით და იშვიათი გამჭრიახობით ის ებრძოდა თვითმპყრობელობას, ბურჟუაზიას და ამზადებდა პროლეტარიატის მებრძოლ რაზმებს სოციალისტურ რევოლიუციისათვის.

განსაკუთრებით დაუფასებელია ამხ. სვერდლოვის როლი, როგორც ორგანიზატორისა. ამ მხრივ ნიჭი მისი პირდაპირ გენიალობას აღწევდა.

ჩვენი პარტიის არსებობის მთელ მანძილზე ის იყო დაუღალავი და არა ჩვეულებრივი მისი აღმშენებელი. შავი რეაქციის დუხჭირ პირობებში დაუღალავათ ეწეოდა პარტიულ-ორგანიზაციულ და პროპაგანდისტულ მუშაობას, აწყობდა იაჩეიკებს, სცემდა გაზეთებს, კავშირი გაყავდა ცალკე პარტიულ ორგანიზაციებს შორის. სადაც კი გაჩნდებოდა ის ყოველგან სიცოცხლე და გამარჯვების იმედი შეჰქონდა.

ამხ. ი. მ. სვერდლოვი

მიუხედავათ საშინელი რეპრესიებისა, დევნის, ციხისა, და შორეულ ტურუხანის მხარეში გადასახლების, მას არც ერთხელ არ დაუხრია წითელი დროშა. პირიქით, რაც მეტი სისასტიკით სდევნიდა მას თვითმპყრობელობა, ის მეტი ახტაცებით და ენერგიით განაგრძობდა თავის საყვარელ საქმეს.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როდესაც ჩვენი პარტია მოექცა პროლეტარულ სახელმწიფოს სათავეში, ამხ. სვერდლოვი ხდება სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეთ.

დიდხანს არ დაცალდა მას ამ თანამდებობაზე ყოფნა. მაგრამ თავისი წლი-ნახევრის მოღვაწეობით მან ბევრის გაკეთება შესძლო და მისი ეს ხანმოკლე მოღვაწეობა ოქროს ასოებით აღიბეჭდება ჩვენი პარტიის და რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციის ისტორიაში.

ულმობელმა სიკვდილმა გამოსტაცა ჩვენს პარტიას და მშრომელ ხალხს ის ისეთ მომენტში, როდესაც სამოქალაქო ომის ალმური გარს ეკრა საბჭოთა ხელისუფლებას.

როგორც არასოდეს მისი ორგანიზატორული ნიჭი, გამჭრიახი გონება და სულგრძელობა საჭირო იყო ჩვენთვის მაშინ. მაგრამ მიუხედავათ ამისა მისი როლი, ღვაწლი და შრომა პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების საქმეში და კომუნისტური პარტიის მტკიცე ფოლადისებური რიგების შექმნაში დიდი და განუზომელია. მისი სახელი არას დროს არ ამოიშლება მშრომელ კაცობრიობის ხსოვნაში.

ლ.—ე.

ამხ. სვერდლოვის გარდაცვალების ხუთი წლის თავი.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება.

დღეს შესრულდა ხუთი წელი მას შემდეგ, რაც პროლეტარიატმა დაჰკარგა ერთ-ერთი თავისი თავდადებული და საუკეთესო ბელადთაგანი, რსფსრეს ცაკის პირველი თავმჯდომარე, რკპ-ს ცეკას წევრი—იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი, რომელიც გარდაიცვალა მოსკოვში იმ დროს, როდესაც გაცხარებული მუშაობა სწარმოებდა პარტიის მე-8-ე ყრილობის მოწვევისათვის: ამ დროს მუშავდებოდა საბჭოთა ხელისუფლების მეტად მნიშვნელოვანი დეკრეტები, რომლებიც წამოყენებული იყო დღის წესრიგში სამოქალაქო ომის ფრონტის შემთხვევებსა და ზურგის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

მისი ხსოვნის აღსანიშნავად საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა გამოსცეს გარდაცვალებულის სრული ბიოგრაფია და ხუთი წლის თავზე გააშუქოს პრესაში სვერდლოვის მოღვაწეობა, მისი როლი და მნიშვნელობა, როგორც მშრომელთა ბელადისა.

ამხ. სვერდლოვის ბიოგრაფია

ამხ. სვერდლოვი დაიბადა ნიჟნი-ნოვგოროდში 1885 წელს ხელოსნის—„გრავიორის“ ოჯახში. ახალგაზრდობიდანვე ის გადაეშვა რევოლიუციის დამხმარე აქტიურ მუშაობაში, გააბა რა კავშირი ჯერ ქვეშ მომუშავეებთან. 1902 წლის მაისის დემონსტრაციის შემდეგ ნიჟნში, ამხ. სვერდლოვი დააპატიმრეს ექვსი თვით.

1903 წელში ამხ. სვერდლოვი აწარმოებს აქტიურ მუშაობას ნიჟნისა და სორმოვის მშრომელთა შორის, სადაც შემოიკრებს თავის გარშემო მუშათა ჯგუფს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ადგილობრივ მენშევიკების პარტკომის მოქმედებით. ამხ. სვერდლოვის ცხოვრების ამ პერიოდმა ჰპოვა მხატვრული განსახიერება გორკის ცნობილ მოთხრობაში „დედა“ („მატ“).

1904 წ. ამხ. სვერდლოვის სახელი პოპულიარული ხდება სორმოვის, ნიჟნის და მის ახლო მდებარე სამრეწველო ცენტრების მუშათა მასებში.

1905 წ. ამხ. სვერდლოვი გადადის ყაზანში, სადაც ის აწარმოებს რევოლიუციონურ მუშაობას ჯერქვეშ, მონაწილეობს დემოკრატიულ გაზეთში „ვოლჟსკი ლისტოკ“-ში და იღებს მხურვალე მონაწილეობას საგაფიცვებო მოძრაობის ორგანიზაციაში.

1905 წლის დეკემბრის აჯანყებამდი მოსკოვში, ამხ. სვერდლოვი გამოჩნდება ურალის მხარეში პარტიის ცეკას რწმუნებულის როლში საერთო პარტიულ ურალის ყრილობის მოსაწვევად. ამხ. სვერდლოვი ურალის პარტიის ბიუროს გარშემო აერთიანებს უფის, ეკატერინბურგის, პერმის მსხვილ ორგანიზაციებს და ასე ამრიგად მთელი ურალი იფარება ქარხნების პარტიულ ორგანიზაციების ქსელით.

1906 წლის გაზაფხულზე ამხ. სვერდლოვი დაატუსაღეს და იჯდა პერმის ციხეში, საიდანაც ის გადაიყვანეს ნიკოლაევის გუნდებში, ვერხოტურსკის მაზრაში. მეფის სასამართლომ ამხ. სვერდლოვს მიუსაჯა 2 ნახ. წლით ციხეში დაპატიმრება გამოდის რა ციხიდან 1909 წელს, ამხ. სვერდლოვი მიდის მოსკოვში, სადაც მუშაობს მუშათა უბნების პარტიულ წრეების ორგანიზაციებში.

1909 წელში ამხ. სვერდლოვს კვლავ აპატიმრებენ და ასახლებენ ნარიმის მხარეში, საიდანაც შემდეგი წლის ზაფხულზე გაიქცევა და იმალება პეტროგრადში, სადაც ღებულობს მხურვალე მონაწილეობას მე-

სამე სათათბიროს ბოლშევიკურ ფრაქციის მუშაობაში.

1910 წელში ხელ ახლად აპატიმრებენ და ასახლებენ კვლავ ნარიმის მხარეში, საიდანაც ხუთჯერ გაიქცევა, მაგრამ ყოველთვის შეუტყობენ. მაგრამ 1912 წელს ამხ. სვერდლოვი მოახერხებს გაქცევას და გაჩნდება პეტროგრადში, სადაც მას ვხედავთ მე-4-ე სათათბიროს ბოლშევიკური პარტიის ბიუროს თავმჯდომარედ. 1913 წელს, მალინოვსკის პროვოკაციის გამო, ამხ. სვერდლოვს კვლავ აპატიმრებენ და ასახლებენ ტურუხანსკის მხარის შორეულ პუნქტში, საიდანაც ის თავისუფლდება თებერვლის რევოლიუციით.

რევოლიუციის პირველ პერიოდში ამხ. სვერდლოვი მთელი თავისი ენერგიით გადაეშვება დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში და პროლეტარიატის სხვა დიდ ბელადებთან ერთად მიჰყავს მუშათა კლასი ოქტომბრამდი. საბჭოთა ხელის უფლების დაარსებიდანვე ამხ. სვერდლოვი იჭერს სრულიად რუსეთის ცაკის პირველი თავმჯდომარის თანამდებობას. რკპ-ს ცეკას დავალებით, ამხ. სვერდლოვი ხსნის დამფუძნებელი კრების სხდომას და აქვეყნებს მშრომელთა უფლებათა ცნობილ დეკლარაციას.

მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ ტურუხანსკში გადასახლების დროს, ამხ. სვერდლოვი გარდაიცვალა მოსკოვში 1919 წლის 16 მარტს. მაშინ სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ამხ. სვერდლოვის ხსოვნისადმი, ლენინმა სთქვა: „ჩვენი რევოლიუციის განვითარებაში და მის გამარჯვებებში, ამხ. სვერდლოვს წილად ხვდა გამოეხატა უფრო სრულად და მთლიანად, ვინემ სხვას ვინმეს, თვით არსი პროლეტარული რევოლიუციისა. უმეტესად ამაში, ვინემ მის რევოლიუციისათვის თავდადებაში, არსებობს მისი მნიშვნელობა, როგორც პროლეტარული რევოლიუციის ბელადისა. ამხ. სვერდლოვის ხსოვნა არა მარტო სიმბოლო იქნება რევოლიუციონერის თავის საქმეზე თავდადებისა, არა მარტო მაგალითი პრაქტიკული სიფხიზლისა და ცოდნის შეუღლებისა, მასსებთან სრული კავშირის და მისი მომართვის ცოდნისა, არამედ ის იქნება საწინდარი იმის, რომ უფრო ფართე პროლეტარიატის მასები გასწევენ წინ, კომუნისტური რევოლიუციის სრული გამარჯვებისაკენ.

ამხ. სვერდლოვის ხსოვნის უკვდავ ყოფა.

1919 წლის 17 მარტს მოსკოვის საბჭოს სასწრაფო სხდომამ დაადგინა უკვდავჰყოს პროლეტარიატის ბელადის ხსოვნა—დაარქვას თეატრის მოედანს მოსკოვში სვერდლოვის მოედანი და აქ აგონ მისი ძეგლი.

სად მარხია ამხ. სვერდლოვი.

ამხ. სვერდლოვი მარხია წითელ მოედანზე კრემლის კედელთან, კრემლის ბაღის ცენტრში.

სვერდლოვის უნივერსიტეტები.

1919 წლის 18 მარტს სრულიად რუსეთის ცაკის საგანგებო სხდომამ დაადგინა დაარსონ სვერდლოვის სახელის უნივერსიტეტი მოსკოვში და უნივერსიტეტი მშრომელთათვის ამხ. სვერდლოვის სამშობლო ნიჟნი ნოვგოროდში.

სვერდლოვცები ერთგულნი არიან ბელადის ხსოვნისა.

როსტას თანამშრომელთან საუბარში, სვერდლოვის უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ლიადოვმა აღნიშნა, რომ მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში სტუდენტები სვერდლოვცები ერთგულნი ბელადის ხსოვნისა, მუდამ იყვნენ პროლეტარული რევოლიუციის ერთგული დამცველები და ეჭირათ ადგილი მებრძოლთა პირველ რიგებში.

საქ. კათალიკოსის ამბროსის და სხვა მის თანამშრომელ ხუცების გასამართლება.

13 მარტის სხდომა.

ხალხი კვლავინდებურათ აუარებელია პლეხანოვის თეატრის წინ ქუჩაში. წესიერების დამცველები ფუჭათ სცდილობენ ხალხის რიგში ჩაყენებას. ამდენ ხალხში წესიერების დაცვაც კი შეუძლებელია.

სხდომის დარბაზში.

ახალგაზრდობას მოუტანია კ. ნინიძის და ოსიკო ბარათაშვილის კარიკატურლი დიდი სურათები და გადმოჰკიდეს ისინი დარბაზში ყვირილით: ძირს ხუცების დამცველები ნინიძე, ბარათაშვილი და დადიანიო.

სხდომა იწყება საღამოს 6 საათზე.

გამოძიება გრძელდება.

შეკითხვებს აძლევენ ბრალდებულ ნიკ. თავდგირიძეს. იგი აცხადებს: რომ იგი ლიტერატორი და იურისტია, ყოფ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ეკუთვნის ამ პარტიის იმ წევრთა ჯგუფს, რომელმაც ჯერ კიდევ 1921 წელს ბათომში გამოაცხადა პარტიის ლიკვიდაცია.

თავდგირიძის ჩვენების შემდეგ ქალაქის კომენდანტმა მოახსენა უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ მოვიდა რკ. გზ. მუშების დელეგაცია და გთხოვენ მიიღოთო.

დელეგაციის მოსვლა.

დელეგაციის დანახვაზე, საზოგადოებაში გაისმის ტაში და ხმები: „ძირს ხალხის მყვლეფელი სამღვდელოებაო“.

დელეგაციის სახელით ილაპარაკა მუშა აზრუმელაშვილმა.

მუშების სახელითვე ლაპარაკობენ დელეგაციის სხვა წევრები: ხებრელაშვილი, ვარლამოვი, უმბრიევი, ოქუაშვილი, ხარტიშვილი, ლელაშვილი და სხვ...

ყველა ისინი მოითხოვენ დამნაშავეთა სასტიკ დასჯას და სთხოვენ სასამართლოს თავმჯდომარეს გავიდეს იმ მუშებთან, რომლებიც თავ მოყრილი არიან ქუჩაში და აუხსნან, რომ ხალხის მყვლეფელები და მისი განძეულობის მიმთვისებლები სასტიკათ იქნებიან დასჯილნიო. მუშების სახელით დელეგაცია მოითხოვს აგრეთვე დასჯას არა მარტო საბრალდებლო სკამზე მჯდომთა, არამედ მათ დამცველებსაც.

თავმჯდომარის ამხ. გ. ჩხეიძის პასუხი.

სასამარ. თავმჯდომ. ამხ. გ. ჩხეიძემ მიმართა დელეგაციას შემდეგი სიტყვით: ამხანაგებო, გადაეცით მუშებს რომ საბჭოთა ხელის უფლებას აქვს კანონები, რომლითაც სასტიკათ ისჯებიან ყველა დამნაშავენი. ხოლო დამცველები იმიტომ ინიშნებიან, საზოგადოთ რომ მათი მოვალეობაა დაეხმარონ სასამართლოს დანაშაულის გამოაშკარავებაში. როდესაც ჩვენ გამოვარკვევთ თუ რა დანაშაული მიუძღვის ბრალდებულთ, ჩვენ მათ დავსჯით ისე, როგორც საჭიროა. გადით ქუჩაში, დააწყნარეთ ხალხი და უთხარით ის რაც უკვე მოგახსენეთ.

დელეგაციის წასვლისას სხდომა ცხადდება 10 წუთით შეწყვეტილათ. სხდომის განახლებისას ეკითხებიან ბრალდებულ არჯევანიძეს და ისევ ამბროსის.

მოწმეების დაკითხვა.

იწყება მოწმეების დაკითხვა. პირველათ შემოყავთ მღვდელი ნ. თალაკვაძე. იგი ლაპარაკობს დალაგებით, მაგრამ ოხუნჯურათ, რაითაც ხშირად იწვევს დარბაზში სიცილს. მოწამის დაკითხვა გაგრძელდა 3 საათი. ეკითხებიან აგრეთვე ცქიტიშვილს, რომელმაც ახსნა თუ რა გარემოებაში მოხდა განძეულობის აღმოჩენა და სხვა... დაჰკითხეს კიდევ ორ მოწამეს დავითაშვილს და კაჭახიძეს.

სხდომა შესწყდა ღამის ორ საათზე.

14 მარტის სხდომა.

14 მარტს საღამოს 6 საათიდან განახლდა სასამართლოს სხდომა.

მოწმე კაკაბაძის დაკითხვის შემდეგ საბრალმდებლო ნაწილს შეაქვს წინადადება, რომ გაანთავისუფლოს ხუთი მოწმეთაგანი. სასამართლო ანთავისუფლებს მხოლოდ სამს.

დაჰკითხეს არა ოფიციალურად შემოხვევით იქ დამსწრე ამხ. ტალახაძეს.

პროკურორმა ამხ. ოკუჯავამ აღნიშნა, რომ დამცველები ხშირათ იძლევიან შეკითხვებს გარეშე საქმისა და იშუამდგომლა, რომ მათ ამის საშუალება არ მიეცეთ. ამ საკითხზე მოხდა მცირე შეკამათება მხარეთა შორის.

დაჰკითხეს ყველა მოწმეებს შუბლაძეს, კეკელიძეს, სიდამონიძეს და ციცქიშვილს.

პარიზის კომუნის წლის თავისთვის

თეზისები აგიტატორთათვის.

18 მარტი—პარიზის კომუნის წლის თავი, წითელი დახმარების საერთაშორისო დღეა.

1. პარიზის კომუნართა გმირული ცდა დამარცხებით დამთავრდა. 30.000 კაცი ბარიკადებზე დაიღუპა; საფრანგეთის მუშათა კლასის 14.500 საუკეთესო შვილები ზოგი სიკვდილით დაისაჯა, ზოგი კატორღაში გაგზავნეს და ზოგიც ციხეებში გამოამწყვდიეს.

2. პარიზის კომუნის—55 წლის თავზე მხოლოდ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები გამოვიდნენ გამარჯვებულნი მსოფლიო კაპიტალთან ბრძოლაში, და ცარიზმისა და რუსეთის ბურჟუაზიის მიერ აგებული ციხეები გამოიყენეს მუშურ-გლეხური საქმის მტერთა საწინააღმდეგოდ.

3. დანარჩენ ქვეყნებში ბურჟუაზია ჯერ კიდევ სდგას ძალაუფლების სათავეში. სცდილობს რა გაახანგრძლივოს თავისი აუცილებელი დაღუპვის წუთები, მან აღადგინა თეთრი ტერორის რეჟიმი მუშათა კლასის წინაღმდეგ. გაცხოველებული კლასიური ბრძოლა გადადის ალაგ-ალაგ აშკარ სამოქალაქო ომში (იტალია, ბულგარეთი), ხოლო ზოგიერთ ადგილებზე, თავს იჩენს, როგორც ავანგარდული შეტაკებები (გერმანეთი, პოლონეთი, ლატვია, ამერიკა და სხვა).

4. ჰყავს რა თავის განკარგულებაში სასამართლო, პოლიცია, ჟანდარმერია, „ოხრანკა“ და სარგებლობს რა სოციალ შემთანხმებელთა სამსახურით, ბურჟუაზია რევოლიუციასთან ბრძოლაში უპირველეს ყოვლისა სცდილობს თავი მოჰკვეთოს პარტიას, მისი ხელმძღვანელების მოკვლით (ლიბკნეხტი, ლიუქსენბურგი, კიგისენი და სხვა,) უვნებელი გაჰხადოს პროლეტარიატის საქმისთვის უფრო თავდადებული, გაბედული მებრძოლნი.

5. თუ რომ 1871 წლის რევოლიუციის შედეგში მუშამ და გლეხმა დაჰკარგეს ათი ათასობით თავიანთი ძმები, ეხლა კი, კაპიტალთან ბრძოლის პროცესში, მსოფლიო პროლეტარიატი ანგარიშობს თავის მსხვერპლებს ასი ათასობით. გერმანიაში დაპატიმრებულია 7.000-დე მუშა, იტალიაში—6.000, ბულგარეთში—4.000, ესპანეთში—3.000, ფინეთში—1.000, პოლონეთში—1.000, უნგრეთში—800 და სხვა და სხვა. გარდა ამისა ათი ათასობით იმპერიალიზმის ფერადი მონები იტანჯებიან ინდოეთის, აფრიკის და სხვა კოლონიების ციხეებში. პატიმართა ოჯახების რიცხვი 10.000 აღემატება.

6. პარიზის კომუნის ერთერთ დაღუპვის მიზეზთაგანი იყო ის, რომ არ არსებობდა საერთაშორისო დახმარება. საფრანგეთის პროლეტარიატი მარტო დარჩა თავის ბრძოლაში. მას არ ჰქონია არავითარი დახმარება სხვა ქვეყნების მუშების მხრივ, და არც თავის საკუთარი ქვეყნის გლეხთა მხრივაც.

7. კომუნის ამ გაკვეთილს არ ჩაუვლია უბრალოდ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის: მან მტკიცედ შეითვისა, რომ გამარჯვების თავდები არის მთელი ქვეყნების მშრომელთა სოლიდარობა და მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან. ამ სოლიდარობის ერთი მაგალითი გამოიხატება იმაში, რომ პროლეტარული ბრძოლის მსხვერპლები არ არიან დაგდებული ბედის ანაბარად.

8. ბურჟუაზიის ტყვეების მიმართ მზრუნველობას თავის თავზე კისრულობს რევოლიუციის გმირთა საერთაშორისო დამხმარე ორგანიზაცია—„მოპრ“. ის დაარსებულ იქნა ერთი წლის წინად პოლიტ-კატორღელთა საზოგადოებისა და ძველი ბოლშევიკების საზოგადოების მიერ. დახმარებას, რომელსაც უწევს ბურჟუაზიულ ციხეებში მჯდომ პატიმრებს, „მოპრ“-ი აგროვებს განსაკუთრებით ნებაყოფლობითი შემოწირულებით, მშრომელთა მიერ გადადებით და თავის ორგანიზაციის წევრთა საწევრო გადასახადით.

9. მთელი წლის მუშაობის განმავლობაში სსრკ-ში „მოპრმ“-ა შეიძინა 500.000 წევრი და 84 საგუბერნიო განყოფილება. დახმარება, რომელიც მიეცა საბჭოთა კავშირის მშრომელებს ერთი წლის განმავლობაში, უდრის 300.000 ოქროს მანეთს. აქედან პატიმართა დასახმარებლად გაიგზავნა 200.000 მანეთი.

„მოპრ“-ს აქვს თავისი სექციები გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, პოლონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, ბულგარეთში და სხვაგან.

10. რამდენადაც მთელ რიგ ევროპის ქვეყნებში ბატონობს შავი რეაქციის მუშტი, იმდენად ამ ქვეყნის მუშებს არ შეუძლიათ სავსებით დააკმაყოფილონ თავიანთ პატიმრების საჭიროებანი,—დახმარების 90% თავს აწევს საბჭოთა კავშირის მშრომელთა კლასს.

11. მაგრამ ეს დახმარება მაინც არ არის საკმარისი. „მოპრ“-ს დღემდის აქვს საშუალება დააკმაყოფილოს არა უმეტესი გაჭირვებულთა 15 პროცენტისა. ეს დახმარება რამოდენიმეჯერ უნდა გადიდდეს, რომ დაკმაყოფილებულ იქნას თვით არსებითი მოთხოვნილებანი პატიმართა, რომ გამოჰკვებონ მათი ოჯახები, ჩააცვან და დაახურონ პატიმართა და დაღუპულთა შვილებსა და ობლებს. მხოლოდ იმ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირის ყოველი პატიოსანი მოქალაქე მივა თავისი წვლილით „მოპრ“-ის რიგებში და მონაწილეობას მიიღებს მის მუშაობაში—შეიძლება შემსუბუქებულ იქნას პატიმართა გაჭირვებული მდგომარეობა.

12. მაგრამ მნიშვნელოვანია არა მარტო მატერიალური დახმარება, საჭიროა დავანახოთ რევოლიუციის პატიმარ მებრძოლთ, რომ ისინი მარტო არ არიან,—რომ საბჭოთა რუსეთის მშრომელთა მილიონები, მიუხედავად იმისა, რომ მათ აშორებს სახელმწიფოს საზღვრები, მათთან ერთად არიან და ზრუნავენ მათზე. ეს გააძლიერებს რწმენას, განამტკიცებს პატიმართა იმედს და დაეხმარება მათ ადვილად გადაიტანონ ციხის ცხოვრების ნაკლულევანება და წამება.

13. მაგრამ „მოპრ“-ი არ არის საქველმოქმედო დაწესებულება. „მოპრ“-ი კლასიურ პროლეტარული ორგანიზაციაა. დახმარებამ, რომელიც ეძლევა პატიმრებს, უნდა შეინახოს ძალები უკანასკნელ მომავალ რევოლიუციონურ ბრძოლებისთვის და ამით გაადიდოს და გააძლიეროს რევოლიუციის არმია. პროლეტარიატის რიგების შევსება გააძლიერებს რევოლიუციის გამარჯვების შანსებს.

14. საბჭოთა კავშირი დიდ შრომას ხარჯავს რითა გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა, უმთავრესად იმისათვის, რომ იმყოფება გარშემორტყმული კაპიტალისტურ ქვეყნებით. პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ძლიერების აღორძინებას, ამითვე საბჭოთა კავშირის მშრომელები პირდაპირ დაინტერესებული არიან გაუწიონ დახმარება თავის თანამებრძოლ ძმებს, რომლებიც ხელში ჩაუვარდათ ბურჟუაზიულ ჯალათებს.

15. კავშირი რუსეთის მშრომელთა და ბურჟუაზიულ ციხეებში მყოფ პატიმართა შორის განსაკუთრებით ნათლად ხორციელდება შეფობის მიღებით კაპიტალის ოთხ კედელში მოქცეულ პატიმრებზე. ამ ჟამად „მოპრ“-ის 40 საგუბერნიო ორგანიზაციამ მიიღო შეფობა დასავლეთის პატიმართა. მაგალითად, პერმი შეფია ფორლის (იტალია) ციხის პატიმართა, ხარკოვი—მიუნსტერის (გერმანია) ციხის შეფია, პოლტავა—პლევნას (ბულგარეთი) ციხის, ვიატკა—ნიდერშპენფელდის და სტრაუბინგის ციხის (ბავარია), კიევი—ლვოვის (გალიცია) ციხის, ტულა—ბერლინის ციხის და სხვა და სხვა.

16. ყოველი პატიოსანი მშრომელი, ვისაც სურს მუშათა კლასისა და გლეხობის საჩქარო გამარჯვება კაპიტალზე, ვალდებულია დაეხმაროს რევოლიუციის მებრძოლთ, და აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა „მოპრ“-ში, ჩაეწეროს წევრად და სხვა.

ეს არის საუკეთესო საშუალება პარიზის კომუნართა ხსოვნის პატივსაცემლად და საუკეთესო დახმარება მათთვის, ვინც დღეს იტანჯება ბურჟუაზიის ციხეებში—პარიზის კომუნის იდეალთა განხორციელებისთვის ბრძოლაში.

რ. კ. პ. ცეკას აგიტპროპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ წითელ კარში

ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალურ კლუბში.

წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში ბევრი კარგი რამ გაკეთებულა წითელ არმიელთა საკეთილდღეოდ.

იყო დრო, როდესაც სხვა და სხვა მიზეზების გამო კლუბის სწორი მოქმედება შეჩერებული. ეს უმთავრესად მიეწერებოდა კლუბის გამგეების და სხვა თანამშრომელთა ხშირ ცვლას, რაც დიდ ზიანს აყენებდა კლუბის მუშაობას.

რომელიმე კლუბის გამგე დააწყობდა საქმეს, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხსნიდნენ და დანიშნავდნენ უკვე ახალს, რომელსაც უხდებოდა ახლად თავის მეთოდით საქმის მართვა, რასაც კლუბის საერთო მუშაობაში დიდი არევ-დარევას და სისტემის შეცვლას იწვევდა.

წითელ არმიელებზედაც ცუდათ მოქმედობდა ეს გარემოება.

დღეს, როგორც ვხედავთ ჩვენი კლუბი შედარებით წარსულ წელთან გამოკეთდა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალ ბინაზე არაა იმდენი ოთახები, რამდენიც იყო ძველ შენობაში, მაინც ის, რაც ნამდვილად კლუბის განკარგულებაშია, ყველაფერი თავის რიგზეა გამოყენებული.

არ არის არც ერთი კუთხე, რომელიც შესაფერად არ იყოს მოწყობილი.

კლუბს აქვს სამკითხველო თავისი, სადაც გამოფენილია სხვა და სხვა ნაწილების კედლის გაზეთები, აგრეთვე თვით კლუბი უშვებს ყოველთვიურად კედლის გაზეთებს. პირველი ნომერი გამოშვებულ იქნა საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავზე. გაზეთი მეტად შინაარსიანია, ნახატები შესრულებულია ვასო კობელის მიერ.

იმედია მეორე ნომერი და შემდეგი უფრო უკეთეს პირობებში გამოვა და პოლიტ-განყოფილებაც საჭირო ხარჯებით დაეხმარება, რათა დივიზიის კლუბის კედლის გაზეთი მაგალითი იქნეს ნაწილების სხვა კლუბებისათვის. ამასთანავე კლუბი სცემს ყოველთვიურ ხელთნაწერ ჟურნალ „წითელ არწივს“. ჯერ-ჯერობით პირველი ნომერი. ჟურნალი მეტად შინაარსიანია.

განზრახულია ახლო მომავალში შემდეგი ნომრის გამოშვება. კლუბში არსებული დრამ-წრე ვასო კობელის ხელმძღვანელობით, სისტემატიურად მართავს უფასო წარმოდგენებს წითელ არმიელთათვის. აქავე სდგება მომღერალთა გუნდი ამხ. ხატიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც უკვე შეუდგა მეცადინეობას.

კლუბის ასეთი სათანადო სიმაღლეზე დაყენება მიეწერება ამხ. გოგიტო კობიძის და მისი თანამშრომლების ერთგულად და ენერგიულ მუშაობას.

ვანო კობახიძე.

მე 2-რე ლეგიონის წრეები.

მე-2-რე ლეგიონში არსებობს ყველა დარგის წრეები. მეცადინეობა სისტემატიურათ მიმდინარეობს, მხოლოთ ცოტას მოიკოჭლებს შემამოწმებელი პარტ-წრე და სასპორტო წრე. მიზეზი არის ის. რომ პირველ და მეორე წრეშიც არიან წით. არმიელები, რომლებსაც ხშირათ უხდებათ ყარაულში ყოფნა რის გამო წრის ხელმძღვანელებს არა აქვთ საშვალება, სისტემატიურად ჩაატარონ ამ ორ წრეში მეცადინეობა. ლეგიონში გამოდის ყოველ კვირეული გაზეთი სახელწოდებით „ჩირაღდანი“ გაზეთში უმეტესობა წითელ არმიელები მონაწილეობენ, 8 მარტს ეს გაზეთი იქნა გამოშვებული განსაკუთრებული ფორმით და სახელწოდებით „მუშა ქალი“. აგრეთვე ლეგიონში არსებობს ყოველ თვიური ჟურნალი „ლეგიონერთა ტრიუმფი“. ჟურნალში თანამშრომლობენ უფპოლიტშემადგენლობა ამ ახლო მომავალში გამოვა ჟურნალის მე-4-ე №-რი. ამ რამოდენიმე ხნის წინეთ მოხდა პარტკორთა კრება და იქნა არჩეული ახალი სარედაქციო კოლეგია. კლუბის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. წარმოდგენები ხშირათ იმართება.

მელქაძე.

1-ლ ქართული მსროლელი ლეგიონი.

8 მარტს ა. წ. 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის კლუბში საღამოს 7 საათიდან აჩვენეს კინო-სურათი, ამხ. ლენინის დასაფლავების პროცესია, კინო-სურათმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წ. მოლაშქრეებზე. კინოს შემდეგ იქნა ლეგიონის სამხკომ ამხ. კალანდაძისაგან კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. ტალახაძემ ქალთა საერთაშორისო დღის და მე-3-მე კომინტერნის 5 წლის თავის შესახებ, რომელმაც განმარტა თუ როდის დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობა, როგორი ხასიათი ჰქონდა, შემდეგ ახასიათებს 1-ლ ინტერნაციონალის დაარსების პირობებს, მის მოღვაწეობას და როგორ მუშათა მოძრაობაში, მისი საფუძველი, განმარტებული იქმნა კომუნისტური მანიფესტის შინაარსით, პირობები პარიზის კომუნის დამარცხების. 1-ლი ინტერნაციონალის დაშლის მიზეზები და მე-2-რე ინტერნაციონალის დაარსება მისი მოღვაწეობა, როლი მე-2-რე ინტერნაციონალის იმპერიალისტურ ომის დროს. როგორც გამცემლური და მოღალატური მუშათა კლასისთვის, შემდეგ ამხ. ტალახაძემ დაახასიათა მე-3 მე ინტერნაციონალის მუშაობა საერთაშორისო მასშტაბით პროლეტარიატის საკეთილდღეოთ. ამხ. ტალახაძემ შემდეგ ილაპარაკა ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ, განმარტა თუ როგორ იტანჯებოდენ ქალები კაპიტალისტურ წესწყობილებისას, რა გააკეთა საბჭოთა მთავრობამ მუშა-ქალების განთავისუფლების და სხვა საქმეში.

ორივე მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქმნა ვრცელი და შინაარსიანი რეზოლიუცია, რომელიც მიიღეს ერთხმათ ამხ. ტალახაძის მოხსენებას მთელი დარბაზი შეხვდა მხურვალე ოვაციით.

1-ლი ლეგიონის სამხკორი **პეტ-დონ.**

ო ქარი ქარი!

ქარი მიყვარდა ო ქარი ქარი!
ბარიკადებზე ფრენა და რბენა,
ქარის ხმაურში ამხედრდა გული
და შეისწავლა ბრძოლის სიმღერა.

ქარმა აშალა ბრძოლის აფრები
როს ქარიშხალი აგორდა ველად,
რაზმი ძლიერი შეჰქმნა მან ქარში
ქუჩის მინების მხსნელად და მცველად.

დიახ იმ ქარით მინდა კვლავ ბრძოლა
ო ქარიშხალო! აშალე ფრთები,
რომ გადავლახოთ ქარივით ბრძოლით
მიუდგომელი ზღვები და მთები.

და სისხლის დროშა თავისუფლების
გადავაქარგოთ მაშვრალთ სამყაროს,
ძმობა ერთობა ირგვლივ ყოველგან
განმტკიცდეს აღსდგეს და დაემყაროს.

ქარი მიყვარდა და ქარტეხილში
ბარიკადებზე შევქენი ბგერა,
ქარის ხმაური ამხედრდა გულში
და შეისწავლა ბრძოლის სიმღერა.

გოგიტო ციმბირელი.

პარტიული ცხოვრება

1-ლ ქართულ ლეგიონის მე-3-ე კომუჯრედი.

9 მარტს ა/წ. მე-2-რე ასეულში შესდგა მზვერავ გუნდთან გაერთიანებული კომუჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრო 11 პარტიული და 80 უპარტიო. წ.-არმ.

დღის წესრიგი: ოქმის № 4 დამტკიცება, 2. მოხსენება ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ, 3. ერთკვირეული მიმოხილვა, 4. სავარჯიშო მოხსენება და 5. მიმდინარე კითხვები. ოქმი იქნა დამტკიცებული, მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. შაფათავა რომელმაც მკაფიოთ და გასაგებათ განმარტა ქალთა დღესასწაულის მნიშვნელობა, განმარტა აგრეთვე, თუ როგორი უფლებით სარგებლობდენ და როგორ უყურებდნენ ქალებს რევოლიუციამდე, როგორ უყურებენ და როგორი უფლებით სარგებლობენ ეხლა. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები წითელ არმიელებიდან, რაზედაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი. მე-3-ე საკითხზე ერთკვირეული მიმოხილვის შესახებ ინფორმაციულ მოხსენებას აკეთებს ამხ. გოჩელაშვილი, რომელმაც გააცნო კრებას ერთიკვირის განმავლობაში მომხდარი ახალი ამბები.

მე-4-ე საკითხზე მომხსენებელ ამხ. თათანოვს მიეცა წინადადება მოემზადოს მომავალ კრებისთვის. 5 მიმდინარე კითხვებში შემოდის წინადადება რათა დაევალოს უპარტიო წითელ არმიელს მომავალ ღია კომ' უჯრედის კრებაზე დემობილიზაციით მიმავალ წით. მოლაშქრეს მოვალეობის შესახებ სოფლათ, გააკეთოს მოხსენება, რაიც დაევალა კრების გადაწყვეტილებით წით. მოლ. ამხ. მაძღარაშვილს, რის შემდეგ კრება დაიშალა კმაყოფილებით.

მე-3-მე კომ'უჯრედის მუშაობა თავის დონეზე სდგას. უპარტიო ამხანაგები ჩათრეულია მუშაობაში ყველანი კითხულობს როდის იქნენება კრება, ეს ფაქტი საკმარისათ ამტკიცებს უპარტიოთა ინტერეს კომ'უჯრედისადმი. განცხადება, განცხადებაზე მოდის პარტიაში მიღების შესახებ.

მე-3-მე კომ'უჯრედის
პარტკორი: **კობახიძე.**

პარტ-მუშაობა.

26 თებერვალს შესდგა მეორე ლეგიონის მე 5-თე კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრო კომუჯრედის უმრავლესობა. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. დანელია და მდივნობდა ამხ. გოგუაძე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1) წინა კრების ოქმის დამტკიცება.

2) საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა რესპუბლიკების ცნობა.

3) პოლიტხელის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ.

4) მდივნის მოხსენება კომუჯრედში მუშაობის შესახებ.

5) მიმდინარე საკითხები.

წინა კრების ოქმი დამტკიცებული იქნა უცვლელად.

საერთაშორისო მდგომარეობაზე და საბჭოთა რესპუბლიკების ცნობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჩანჩიბაძემ, აგრეთვე ამხ. ჩანჩიბაძემ აღნიშნა თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ცნობას გარეშე ბურჟუაზიულ. სახელმწიფოების მიერ. მოხსენების გათავების შემდეგ იქნა გამოტანილი სათანადო რეზოლიუცია.

მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა მეშვიდე ასეულის პოლიტხელმა ამხ. გოგუაძემ, ერთი თვის თავის მუშაობის შესახებ. მან გააცნო კრებას, რომ წითელი კუთხე ასეულში კარგად არის მოწყობილი, არის სათამაშოები, რომლითაც ერთობა წ. ლაშქრელები და სხვა.

პოლიტხელი ამხ. გოგუაძის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

კომუჯრედის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომუჯრედის მდივანმა ამხ. გოგუაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კრებები მიმდინარეობს სისტემატიურად, წევრები მთლიანად ესწრებიან კრებებს, იანვრის თვეში მოხდა ღია კრება 3-ჯერ. ერთი დახურული და ერთი პრეზიდიუმის. უპარტიო ამხანაგებს ემჩნევათ კომუნისტურ პარტიისაკენ ლტოლვა, რომელიც გამოიხატება უპარტიო წ. ლაშქრელების განცხადებების შემოტანაში, კომპარტიის რიგებში შესვლის შესახებ.

მოხსენების შემდეგ იქმნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. გოგუაძისა, უჯრედის ერთი თვის მუშაობის შესახებ: მუშაობას ვთვლით სრულიად დამაკმაყოფილებლად და უსურვებთ კომუჯრედს შემდეგშიც განაგრძოს გაასკეცებული მუშაობა.

მიმდინარე კითხვებში დასმული იყო ახალგაზრდა კომკავშირის წევრების კომპარტიის კანდიდატებად გადარიცხვის შესახებ.

პარტკორი **ა. ნაჭყეპია.**

ახალი ამბები

ფასიანი ფრენა

პარიზის კომუნის დღეს, 18 მარტს გაიმართება სადემონსტრაციო ფრენა თფილისში, ფასით.

საავიაციო კურსები.

20 მარტს თფილისში გაიხსნება საავიაციო კურსები. ლექციების კითხვა გასტანს ორი თვე.

ახალი აპარატები.

ქალ. აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს ხმა მაღლა მოლაპარაკე აპარატები აღმასკომის პლენუმების ანგარიშის გარეთ გადასაცემათ.

ახალი საავათმყოფო.

ფსიხო-ნევროლოგების თათბირმა დაადგინა გახსნას საავათმყოფო სულით ავათმყოფ ბავშვთათვის.

განუკურნელი ავათმყოფნი.

ჯანმრთელობის კომისარიატმა დაადგინა განუკურნელი ავათმყოფნი გადაიყვანონ სურამში.

მუსულმანთა სკოლებისთვის.

მუსულმანთა სკოლის აღმაშენებელი კომიტეტი მართავს დიდ საღამოს სკოლების სააღმაშენებლო ფონდის გასაძლიერებლათ.

სამუშაოზე გაგზავნა.

14 მარტს შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 38 უმუშევარი მოქალაქე.

შემთხვევები

— **საწყობის გაქურდვა.** 13 მარტს, გაქურდეს ა. კ. სახელმ. ვაჭრობის საწყობი, საიდანაც წაიღეს 54 ტყავი 100, ჩერ. ღირებულებისა

— **ჯიბგირის დაპატიმრება.** დააპატიმრეს ა. ეირანოვი, რომელმაც 13 მარტს ჯიბიდან ამოაძრო მოქ. ელენცს საფულე დაკუმენტებით.

ხელოვნება.

პროლეტკულტში.—პროლეტკულტის დრამატიული სტუდია ამზადებს „გუსმის მოსკოვო“-ს და „ცხვრის წყაროს“

საქ. მუზეუმში.—საქართველოს მუზეუმში ამ ჟამათ ეწყობა ზოოლოგიური განყოფილება, რომელიც გაიხსნება 1-ლ მაისს.

საბავშო დილა—დღეს საბავშო თეატრში გაიმართება საბავშო დილა, წარმოდგენილ იქნება: „ნაძვთა ზეიმი“

სონატების საღამო—18 მარტს კონსერვატორიაში გაიმართება მილშტეინის და გოროვიცის სონატების საღამო.

დევდარიანის ლექცია—17 მარტს ოპერის თეატრში ს. დევდარიანი წაიკითხავს ლექციას რუს. ენაზე: „საბჭოთა წყობილება და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა“. გაიმართება კამათი.

დღეს თეატრებში.

ოპერა—ლაკმე.

დრამა—მზის დაბნელება საქართ.

სახ. სახლი—მეფის დალაქი.

კონსერვატორია—ზ. ლოდის სიმღერათა საღამო

მცირე თეატრი -პ. სოკოლოვსკის გასტროლი

ჯომარდობა ჩვენს ჯარში.

ახლოვდება გაზაფხული. გაზაფხული კი სწორეთ ის დროა როდესაც მეტის ინტენსივობით მიმდინარეობს ტანვარჯიშობა და ჯომარდობა. ამიტომაც ზედ-მეტი არ იქნება ერთხელ კიდევ მოვიგონოთ და გავითვალისწინოთ თუ რისთვის არის საჭირო ტანვარჯიშობა და ჯომარდობა.

ჯომარდობას ჩვენ ვთვლით დიდ მნიშვნელოვნად იმდენად, რამდენადაც იგი გვშველის მოლაშქრის გამოჭედვაში. სამხედრო საქმის მცოდნენი ამბობენ, რომ ბრძოლაში სამი მეუთხედი გამარჯვების შესაძლებლობის დამოკიდებულია მოლაშქრეთა მორალურ ძალებისაგან და ერთი მეოთხედი კი მატერიალურისაგან. მართალია უკანასკნელ ბრძოლებში დიდი განვითარება მიიღო ტეხნიკამ, მაგრამ ამან უფრო გაახანგძლივა ბრძოლა და ამით ნების ხმევაც გახანგრძლივდა. მხოლოდ ძლიერი ზნეობრივი თვისებანი მისცემენ შეძლებას ლაშქარს გადიტანოს ყველა ნაკლულევანება, გადალახოს ყველა წინაღობა და მივიდეს გამარჯვებამდე.

ზნეობრივ ძალთა გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფიზიკურ ძალას. ჯანის და სისხარტის ნაკლებობა, ხელს უშლის ჯარების სწრაფ გადაჯგუფებას; სხეულის სისუსტე კი ახშირებს ავათმყოფობას და ასუსტებს ჯარის შემადგენლობას და ბოლოს ნების ხმევაში თუ გინდ, რომ ტეხნიკურათ ძალები თანაბრები იყვენ ჯანსაღი სხეული უფრო გაიმარჯვებს. თუ ფიზიკური აღზრდა არის საშუალება ადამიანის ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარების ჰარმონიისა, მოლაშქრის სხეულის მზადებაში, რომლის უნარიანობისაგან დამოკიდებულია ბრძოლის შედეგი, საჭიროა შესაფერი ადგილი მივაკუთნოთ ტანვარჯიშობას და ჯომარდობას ჩვენი ნაწილების სამხედრო თუ საკლუბო მეცადინეობაში.

მოლაშქრის ზნეობრივ მომზადებისთვის საჭიროა განმტკიცდეს მასში წესმორჩილების შეგნება, მოქალაქეობრივ მოვალეობათა შეგნება და ამისათვის კი სიმამაცის, ნების ხმევის და სხვ. განმტკიცება.

ზნეობრივ თვისებათა განვითარებისთვის საჭიროა პრაქტიკული მიზნების დასახვით მიეცეს თავისუფალი განვითარება სულიერ და ფიზიკურ ძალებს ჯომარდულ თამაშობებში და საერთო ვარჯიშობაში.

მატერიალური მომზადება უნდა გავყოთ ორ ნაწილად 1. საერთო ფიზიკური მომზადება და, 2. ტეხნიკური მომზადება.

მოლაშქრის ფიზიკურ მომზადებას შეადგენს 1. სხეულის გაჯანსაღება, რომელიც მისცემს შეძლებას მოლაშქრეს მეტი წინააღმდეგობა გაუწიოს გარეშე მოქმედებას.

2. კუნთების განვითარება, რასაც აქვს მიზნათ არა კუნთების გადიდება, არამედ კუნთების მომზადება ყოველნაირ მუშაობის და დაჭიმვის ასასრულებლათ.

3. სისხარტე საჭიროა იმისათვის, რომ ყოველნაირი მოქმედების შესრულებას თან დაჰყვეს ენერგიის რაც შეიძლება ნაკლები დახარჯვა.

მოლაშქრის ამგვარი მომზადებისათვის საჭიროა ნაწილებში ყოველგვარ ჯომარდულ თამაშობებისა და ვარჯიშობის გავრცელება.

ტეხნიკურ მომზადებისთვის კი საჭიროა ვარჯიშობას მიეცეს გამოყენებითი ხასიათი, რადგან ყველა სახეები უკვე შედიან სამხედრო საველე მზადებაში. დამატებითი გამოყენებით ვარჯიშობას უნდა მივაკუთვნოთ: ფარიკაობა, სიარული, რბენა, ცოცვა, ხტომა, ტყორცნა ცურვა, წინა ლობეთა დაძლევა, და სიმძიმეების ტარება დაჭრილთა ტარების წესების შესწავლა.

ის საათები რომელიც დათმობილი აქვს ჩვენს ნაწილებში ტანვარჯიშობას, სრულიად არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცეს ამ მხრივ საკლუბო მუშაობას. აქ უნდა გამოყენებული იქნეს წითელ-არმიელთა თვითმოქმედება და იმ შეჯიბრითი ხასიათით, რომელიც აქვს ჯომარდობის ყოველ სახეს, ჩავითრიოთ მუშაობაში ყველა წითელ-არმიელი. არც ერთი მათგანი არ უნდა დარჩეს ამ მუშაობის გარეშე. ყველამ შეიტანოს თავისი წვლილი და ყველამ მიიღოს მაგიერი გაჯანსაღება.

გიტო.

სამეურნეო განყოფილება.

გოგრა (კვახი, ხაპი)

გოგრა წლიური სასარგებლო მცენარეა. მის მრავალ რიცხოვან ჯიშებს ჰყოფენ ოთხ ჯგუფათ:

1. გოგრა როგორც სალამაზო მცენარე, ეს ჯიში იბამს პატარა და ლამაზი ფერის ნაყოფს, და ამიტომ მას სილამაზისთვის ამრავლებენ.

2. საქონლის საჭმელი გოგრა. გოგრას ეს ჯიში ძვირფასია საქონლის საკვებათ. ზოგჯერ ასეთი ჯიში ვეებერთელა ნაყოფს იბამს ან უფრო პატარაებს მაგრამ ბევრს.

საერთოთ სხვა საკვებთან საკმაოთ მიცემული გოგრა საქონელს ძლიერ რგებს.

3. საჭურჭლე გოგრა (გურიაში ხაპუტას ეძახიან)

გლეხობა ჩვენში ამ ჯიშის გოგრას ამრავლებს წყლის ჭურჭლისათვის.

ზოგიერთ კუთხეში ამ ჯიშს მწარე კვახს უწოდებენ, რადგან მისი გული გახმობამდე მწარეა, გახმობის შემდეგ კი გემო ეკარგება.

4. საჭმელი გოგრა. ეს ჯიში ადამიანისთვისაც კარგია. აქვს კარგი გემო და რამოდენიმე თვეს ინახება. ჩვენში გავრცელებულია სხვა და სხვა საკვები გოგრის ჯიშები.

ჯიშები განსხვავდებიან ნაყოფის სიდიდით, მოყვანილობით, ფერით და გემოთი.

საჭმელი და საქონლის გოგრის მოყვანა.

გოგრა თავის გასანვითარებლათ ბევრ სითბოს არ თხოვულობს. მაგრამ სიცივეებს სრულებით ვერ იტანს. ნახევარი გრადუსი სიცივე მას უკვე სწყენს.

ძალიან ნაადრევათ გამოსაყვანათ გოგრა სათბურში უნდა აღიზარდოს.

ჩვეულებრივათ კი გოგრა ითესება გაზაფხულზე, როცა საკმაოთ დათბება და გვიანი ყინვების საშიშროება გაივლის.

გოგრა კარგათ ხარობს ნოყიერ, კარგათ დამუშავებულ ღრმა ნიადაგზე, ნაყოფის დასამწიფებლათ საჭიროა სითბო და საკმაო სინესტე, რადგან მისი ფართე ფოთლები ბევრ წყალს აორთქლებენ.

გოგრას ხშირათ სთესავენ ღობეების, ხეების, სახლების და ბოჯგების ახლოს. გრძელი ყლორტები ეხვევიან მახლობელ მაღალ საგანს, იბარდებიან და იბამენ ნაყოფს, რომლებიც აქა იქ ჩამოეკიდება.

ჩამოკიდული ნაყოფი უფრო პატარა იზრდება, ვიდრე მიწაზე მყოფი.

განსაკუთრებით კარგათ გოგრა გადამწვარ ნაკელიან მიწაზე ხარობს.

მცენარეთა შორისი მანძილი დამოკიდებულია ჯიშზე.

ზოგი გოგრის ჯიშები ძალიან დიდ მანძილს იჭერენ და სრულიათ ფარავენ მიწას თავისი ფართო ფოთლებით.

ამიტომ ჯიშის მიხედვით საჭიროა დავტოვოთ ორი სამი—საჟენი მცენარეთა შორის.

როცა ნაყოფი კაკლის ოდენა გახდება, მცენარე კარგათ და ხშირათ უნდა მოვრწყათ იმ ვარაუდით, რომ ყოველთვის საკმაო სინესტე ჰქონდეს.

მიწა ხშირ ხშირათ უნდა გავთოხნოთ და მის ახლოს უნდა მოვსპოთ სარეველა (მავნე) მცენარეები. ამასთანავე თოხნა ნიადაგს აფხვიერებს და მცენარე უკეთ ვითარდება.

თუ გოგრამ ბევრი ნაყოფი გამოიბა ნაწილი უნდა მოვაცილოთ და ზედ იმდენი დავტოვოთ, რომ მივიღოთ საშუალო სიდიდის ნაყოფი. თუ კი მცენარეს ბევრი ნაყოფი დაუტოვეთ მაშინ ის ყველას კარგათ ვერ გაანვითარებს.

ნესტიან ადგილებში ხშირათ მიწაზე მყოფ ფოთლებისგან დაჩრდილულ ნაყოფს ქვეითა მხარე ულპება. (ეს მოვლენა ხშირია რიონის პირა ყანებში). ამის თავიდან ასაცილებლათ ნაყოფს რაიმე უნდა დაუდვათ ქვეშ.

გოგრა იძლევა ბევრ ნაყოფს, მაგრამ ზოგი მათგანი მწიფდება, ზოგი კი გვიან, შესანახათ მცენარე ყერწიანა უნდა მოვწყვიტოთ.

ჩვენში გოგრა სამ ფუთამდის აღწევს.

მეურნე.

ისევ სამხედრო ტერმინალოგიის შესახებ.

სარედაქციო კოლეგიის საყურადღებოთ.

არ იქმნა, ვერ შევძელით ქართულ ენაზე ერთგვარი სამხედრო ტერმინალოგიის შექმნა. ამის შესახებ მრავალი დაწერილა, მრავალი სურვილი გამოთქმულა, მაგრამ ეს საქმე ჯერ კიდევ სიტყვას არ გასცილებია. მე მეტსაც ვიტყვი, ამ მხრივ ჩვენი სამხედრო ლიტერატურაში დიდი უწესრიგობა სუფევს.

მიუხედავათ იმისა რომ ქართულ ენაზე გვაქვს სახელმძღვანელოები, წესდებები ნათარგმნი თუ შედგენილი, ჩვენ ვერ დაგვიცვია შიგ ერთგვარობა სამხედრო ტერმინალოგიისა.

მათში ნახმარია სულ სხვა და სხვა ტერმინები იმისდამიხედვით თუ ვინ შეადგინა ან გადათარგმნა ესა თუ ის სახელმძღვანელო ან წესდება.

ეს გარემოება გზას უბნევს არამც თუ მოსწავლე ახალ გასაწვრთნავ წითელ არმიელებს, არამეთ თვით მასწავლებლებს, უფ და პოლიტ შემადგენლობას.

ხშირათ მსმენია მათგან საყვედურები. და საყვედურები სრულიად სამართლიანი.

სახელმძღვანელოს ტერმინალოგია არ ეჯარება წესდებებს და წესდებები სახელმძღვანელოს.

დროა ბოლო მოეღოს ამ მოვლენას.

ამ ჟამად გვაქვს ჩვენ სარედაქციო კოლეგია, რომლის წმინდა მოვალეობაა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და შეიმუშაოს ერთგვარი სამხედრო ტერმინალოგია ქართულ ჯარისათვის.

სანამ ჩვენ წესდებების გადმოთარგმნას და სახელმძღვანელოების შედგენას შევუდგებოდეთ საჭირო იყო ტერმინოლოგიის შემუშავება, რომ შემდეგში დაცულიყო ერთგვარობა.

თუ ეს ამდენ ხანს არ ქმნილა, საჭიროა ახლა მოხდეს.

ტერმინოლოგიის და მიხედვით შედგენილი უნდა იქმნას ლექსიკონიც უფრო ვრცელი ვიდრე ახლა ჩვენ მოგვეპოვება.

საჭიროა სარედაქციო კოლეგიამ ამ შემთხვევაში ისარგებლოს როგორც ქართული ენის მცოდნე პირებით ისე ნაწილებში უშუალოდ მომუშავე მეთაურებით თუ პოლიტმუშაკებით, რომლებსაც მათი ცხოვრებაში გატარება უხდებათ. ისინი მოგვცემს დიდ მატერიალს ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის.

მ. გობრონიძე.

≡მეცნიერება და ცხოვრება≡

რამდენი კაცის რჩენა შეუძლია დედამიწას.

ალბად ყველა იფიქრებს ძალაუნებურად: ადამიანები მრავლდებიან, მათ გამოსაკვებად კი საჭიროა მიწის განსაზღვრული რაოდენობა, მაგრამ დედამიწა არ მატულობს თავისი სივრცით და მაშასადამე სხვა მიწის მიღებაზე იმედების ქონება არ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს ხომ მოხდება ისე, რომ საგრძნობლად გამრავლებულ ადამიანთა მოდგმას მიწა აღარ ეყოფა გამოსაკვებად. მართალია ტეხნიკის განვითარებამ შეიძლება გააგრძელოს ეს პროცესი, მაგრამ ხომ უნდა ჰქონდეს ბოლო ყველაფერს და ალბათ იგიც დაჰკარგავს ოდესმე თავის ყოვლად შემძლეობას.

მაგრამ ასეთი ფიქრებისაგან ჯერ-ჯერობით შორს უნდა ვიყოთ ეს უფრო შორი მომავლის საკითხია. მიწის საერთო სივრცის ცოდნაა საჭირო, რომ ამაში დარწმუნდე კაცი. დედამიწის ბურთის საერთო სივრცე უდრის 510 მილიარდ კვადრატ. კილომეტრს. ამ რიცხვიდან თუ გამოვალთ ზღვების ზედაპირის საერთო სივრცეს, დაგვრჩება 1308 მილიარდი კვადრატ. კილომეტრი. მაშასადამე ეს რაოდენობა წარმოადგენს ხმელეთს. აქედან მხოლოდ 55,9 მილიარდი კილომეტრი ვარგა დასამუშავებლად. ეს შეადგენს ხმელეთის 43 პროც. ხმელეთის ამ რაოდენობის თითქმის ნახევარი ტყეებით, ბალახებით და სხვა ტეხნიკაში მოსახმარ მცენარეებითაა დაფარული ასე რომ ადამიანის საკვებად რჩება მხოლოდ 2.800 მილიარდი გექტარი. ან და ეს უდრის 900 მილ. დესიატინას. თუ ჩვენ თითეული კაცის სარჩენად მაქსიმუმად ავიღებთ 1,2 გექტარ მიწას, ჩვენ მივიღებთ დედამიწაზე მოსახლეობას მაქსიმალურ რიცხვს—2,333 მილ. ამ რიცხვამდე ძლიერ ჩქარა უნდა ავიდეს მიწაზე დასახლებულ ადამიანთა რიცხვი, რადგან ეხლანდელი მოსახლეობა აღწევს 1,700 მილიონამდე. მიწის კულტურულად დამუშავების ინტენსიობით ადამიანთა რიცხვი არსებულ მიწის რაოდენობის დროს შეიძლება ავიდეს 5 მილიარდამდე—ბოლოს და ბოლოს ამ რიცხვს 25—28 მილიარდამდეც შეუძლია გაზრდა თუ ყველა მზგავსად აღმოსავლეთის ხალხებისა იაპონელების და სხვა გახდებიან ვეგეტერიანელებათ ე. ი. თავს დაანებებენ ხორცეულობით კვებას, რადგან მას ვინც ხორცით იკვებება ყოველთვის მეტი მიწა სჭირდება, საქონლის გამოსაკვებათ. იაპონიაში კი ამ მხრივ იმდენად დიდი ეკონომიაა მიწის, რომ 1 გექტარი მიწა კვებავს 10 სულს, იმ დროს როდესაც ხორცით მკვებავებზე 1,2 გექტარი მიწაა საჭირო თითეულ სულზე. ამნაირად დედამიწა ჯერ კიდევ დიდხანს ეყოფა სარჩენად მასზე დასახლებულ ადამიანებს, მაგრამ ჩვენ მიერ მოყვანილი ციფრები გამოანგარიშებულია მხოლოდ იმ პირობით თუ მოსახლეობის შორის მოხდება მიწის ნაყოფის წესიერი და თანასწორი განაწილება ე. ი. უნდა განხორციელდეს სოციალიზმი.

შ. ხ.

ჩერვონცის კურსი 16 მარტს

1 ჩერ. 9,800,000,000.

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1კ,	9,800,000	55 კ.	539,000,000
2კ.	19,600,000	60 კ.	588,000,000
3კ.	29,400,000	65 კ.	637,000,000
4კ.	39,200,000	70 კ.	686,000,000
5კ.	49,000,000	75 კ.	735,000,000
6კ.	58,800,000	80 კ.	784,000,000
7კ.	68,600,000	85 კ.	833,000,000
8კ.	78,400,000	90 კ.	882,000,000
9კ.	88,200,000	1 მ.	980,000,000
10კ.	98,000,000	2 მ.	1,960,000,000
15კ.	147,000,000	3 მ.	2,940,000,000
20კ.	196,000,000	4 მ.	3,920,000,000
25კ.	245,000,000	5 მ.	4,900,000,000
30კ.	294,000,000	6 მ.	5,880,000,000
35 კ.	343,000,000	7 მ.	6,860,000,000
40 კ.	392,000,000	8 მ.	7,840,000,000
45 კ.	441,000,000	9 მ.	8,820,000,000
50 კ.	490,000,000	10, მ.	9,800,000,000

ნ. დ. ს. ტირაჟი 1800 სტამბა, კეცხოველის ქუჩა, ელსმენი 8-61. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე